ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

1977
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
11
ᲛᲐᲠᲢᲘ
№ 58
(16795)
ᲨᲐᲑᲐᲗᲘ
2 ᲒᲠᲐᲜᲘ
1977

ᲒᲐᲜᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲡᲐᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲓ

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲡ

ᲥᲕᲘᲠᲨᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲛᲰᲐᲜᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ

ᲒᲣᲚᲗᲐᲓᲐᲓ ᲛᲝᲒᲒᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ — ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲡ. ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲦᲘᲠᲘᲡᲨᲔᲣᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲘᲛᲐᲚᲐ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲛ-ᲡᲐᲮᲔᲚᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲛᲔ-60 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲡᲙᲙᲞ XXV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲠ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲓᲦᲔᲜᲘᲐᲓᲐᲒ ᲖᲠᲣᲜᲐᲕᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲡ. ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲦᲘᲠᲘᲡᲨᲔᲣᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲘᲛᲐᲚᲐ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲛ-ᲡᲐᲮᲔᲚᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲛᲔ-60 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ ᲒᲐᲛᲚᲔᲚᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲞᲘᲠᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲘᲖᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲓᲦᲔᲜᲘᲐᲓᲐᲒ ᲖᲠᲣᲜᲐᲕᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲔ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲨᲔᲯᲐᲛᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ.

ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲣᲜᲘᲨᲜᲔᲑᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲝᲓᲔᲣᲠᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲠᲝᲗᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲙᲐᲛᲞᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲡ. ᲔᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲐ, ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲕᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ.

ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲣᲜᲘᲨᲜᲔᲑᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲝᲓᲔᲣᲠᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲠᲝᲗᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲙᲐᲛᲞᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲡ. ᲔᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲐ, ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲕᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ.

ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲠᲝᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲨᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲛᲑᲣᲚᲘ ᲡᲬᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲠᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲨᲠᲝᲛᲐ. ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲗᲝᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘᲐᲐ. ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ

ჯილდო-ავტომოძენებლებს

მეოთხედ საუკუნეზე ცოტა მეტი დრო გავიდა, რაც ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კონვეიერიდან პირველი ქართული ზრომით ავტომობილი ჩამოვიდა. ქარხანა უდაბურ ადგილას შენდებოდა ძნელ ომისშემდგომ წლებში — არ ჰყოფნიდათ მუშახელი, საშენი მასალები, მოწყობილობა. მაგრამ სამაგიეროდ დიდი იყო ენთუზიაზმი ხალხისა, რომელიც ამაყობდა, რომ კოლეთის უძველეს მიწაზე ქართული ავტომობილმშენებლობის პირმშოს აგებდნენ.

დღეს ქუთაისის საავტომობილო ქარხანა საბჭოთა კავშირის საავტომობილო მრეწველობის ერთ-ერთი უდიდესი სანარმოა, ქუთაისის მარკიანი მძლავრი ავტოსაწევრები კი ჩვენი დიადი ქვეყნის მაგისტრალებს სერავენ.

ენთუზიაზმით მუშაობენ ქუთაისელი ავტოქარხნელები დღესაც. დამკვრელური ზრომით აღნიშნეს მათ მეათე ხუთწლედის პირველი წელი. კოლექტივმა ვადამდე შეასრულა პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის წლიური გეგმა და ვალდებულებანი. საბოლოოდ მოიხსნა წარმოებიდან ავტოსაწევრის ძველი მოდელი, დაიწყო ახალი მოდელის სერიული გამოშვება, რომელმაც წარმატებით გაიარა გამოცდა.

ახალი მოდელის ავტოსაწევრის სერიული გამოშვების მოგვარებისათვის, პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლა დაემთხვა ქარხნის რეკონსტრუქციასა და გაფართოებას, რომელიც მეთერმეტე ხუთწლედის დამლევისათვის დამთავრდება და საშუალებას მისცემს საწარმოს კოლექტივს ბევრად გაადიდოს ავტოსაწევრების გამოშვება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის, მოგვაროს ახალი, უფრო სრულყოფილი მოდელების წარმოება.

ქუთაისელ ავტომობილმშენებელთა მიღწევებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა: საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1976 წლის შედეგების მიხედვით მათ მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

9 მარტს ავტომშენებელთა კულტურის სასახლეში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც ამ საპატიო ჯილდოს გადაცემას მიეძღვნა. ქარხნის საუკეთესო წარმომადგენლებთან ერთად კრებაზე მოვიდნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ხელმძღვანელი პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები. კრება გახსნა ქარხნის პარტკომის მდივანმა **რ. მხეიძემ.**

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევის** მეთაურობით.

შეკრებილთა ტაშის გრიალში კოლექტივის წარმომადგენლებს წითელი დროშა გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ვ. სირაძემ.**

— თქვენი დღეანდელი ჯილდო, — თქვა ამხ. სირაძემ, — სამშობლოს საკეთილდღეოდ დიდი და დაუცხრომელი შრომის ლოგიკური შედეგია. ჩვენ ყველანი ვამაყობთ, რომ უკანასკნელი ოთხწლინახევრის განმავლობაში თქვენი კოლექტივი გამარჯვებული კოლეგის სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც ჩვენი ქვეყნის საავტომობილო მრეწველობის საწარმოთა შორის გაიშალა, და ზედიზედ 18-ჯერ იღებს გარდამავალ წითელ დროშას.

თქვენს საწარმოში ბევრი ახალი, საყურადღებო თაოსნობა იშვა, რომელსაც ფართოდ დაუჭირა მხარი რესპუბლიკის ყველა მშრომელმა. მნიშვნელოვნად გაიზარდა სამრეწველო წარმოების მოცულობა. კაზ-608 ავტოსაწევრის ახალი მოდელი წელს წარდგენილია ხარისხის სახელმწიფო ნიშნის მოსაპოვებლად.

ამხ. სირაძემ აღნიშნა, რომ კოლექტივმა კარგი სტარტი აიღო ხუთწლედის მეორე წელსაც. უკეთ ცხოვრობს და შრომობს კოლექტივის თვითეული წევრი. მაგალითად, მარტო უკანასკნელ ხანს ავტომობილმშენებელთა რეალური ხელფასი 23 პროცენტით გაიზარდა.

ამხ. სირაძემ გადასცა დროშა და მხურვალედ მიულოცა ქარხნის მშრომელებს, უსურვა ახალი წარმატებანი.

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის დირექტორმა **ვ. ხარებავამ,** გამომცდელმა **მ. ლომეა,** სოციალისტური შრომის გმირმა **ბ. ვაშაკიძემ,** ქარხნის ტექნოლოგიური ბიუროფილების ინჟინერმა **კ. ბერძენიშვილმა,** შასის საამქროს გამმართველმა **ჯ. ბუგავამ,** მესამე საამსხმელო საამქროს უფროსმა **ზ. ალდიაშვილმა** და სხვებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის. ახლა ქარხნის კოლექტივი, პარტიის იმ მოწოდების პასუხად, რომ დამკვრელური შრომით აღნიშნონ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავი, ასრულებენ შემხვედრ გეგმასა და გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს.

კრების მონაწილეებმა აღუთქვეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, რომ მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების საფუძველზე გადამდე შეასრულებენ 1977 წლის და მთელი ხუთწლედის გეგმებს.

ამ დაპირების საუკეთესო დადასტურებად გაისმა ბ. ვაშაკიძის სიტყვები, რომელიც უკვე მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში მუშაობს. მან კოლექტივის გრძნობები გამოთქვა, როცა განაცხადა, საპატიო ჯილდო გვავალებს უკეთესად ვიშრომოთო. მან თქვა, რომ გადაწყვეტა ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს მე-60 წლისთავისათვის შესრულოს მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალება, ხოლო მთელი მეთერთმეტე ხუთწლედის დავალება — 1978 წლის 1 მაისისათვის.

(საქინფორმი).

შრომის დიდი დაფასება

თბილისის ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანების კოლექტივი, რომელმაც ფართოდ გაიაზრა სოციალისტური შეჯიბრება მეათე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ზედიზედ აღწევს შრომითს გამარჯვებებს. გასული წლის ოთხივე კვარტალის განმავლობაში, მაგალითად, მას პირველი ადგილი მიენიჭა დარგის საწარმოთა შორის. წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, 1976 წლის სახალხო სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების გამო მას კოლექტივს მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

საზეიმო ვითარებაში, გაერთიანების პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე გაიმართა ამ მაღალი ჯილდოს გადაცემა. კრება გახსნა პარტიული კომიტეტის მდივანმა **ს. ივანიძემ.** კრების მონაწილეთა ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევის** მეთაურობით.

ქარხნის წარმომადგენლებს მაღალი ჯილდო გადასცა და ახალი წარმატებანი უსურვა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **თ. მენთეშაშვილმა.**

აღნიშნა რა გაერთიანების კოლექტივის წარმატებანი, ამხ. მენთეშაშვილმა თქვა, რომ ისინი მოპოვებულია შეუპოვარი, თავდადებული, მაღალნაყოფიერი შრომის შედეგად, სკკპ ისტორიული XXV ყრილობის მიერ განსაზღვრული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის ბრძოლაში. გაერთიანების მეთაურ საწარმოში — თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში, ბევრი საყურადღებო თაოსნობა დაიბადა. მათ შორისაა თაოსნობა „პირადი დამღიდან — კოლექტიური დამღისაკენ“.

კრებაზე გამოვიდნენ გაერთიანების გენერალური დირექტორი **დ. კეკნაძე,** № 5 საინსტრუმენტო საამქროს ხარატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ზ. სარალიძე,** შიგმჭრეხავი, კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი **გ. გუბარევიჩი,** თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის ხარატი **ვ. ქემოფლიძე,** ჩარხსაშენებელი ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი **ვ. უსანეთაშვილი.**

თბილისის ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანების კოლექტივს გულთბილად მიულოცა ერევნის ძერჟინსკის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ **ვ. უნანიანმა.**

კრებაზე გაერთიანების კოლექტივს გადაეცა კიდევ ორი ჯილდო — პარტიის თბილისის ლენინის რაიკომის, მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომისა და კომკავშირის რაიკომის გარდამავალი წითელი დროშა 1976 წლის მუშაობის შედეგებისა და რაიონის ვიმპელი — გასული წლის მეოთხე კვარტალის მუშაობის შედეგებისათვის. ეს ჯილდოები გაერთიანების წარმომადგენლებს გადასცა საქართველოს კომპარტიის ლენინის რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. ანჩაბაძემ.**

(საქინფორმი).

სკოლა და ცხოვრება

ვასწავლოთ, ვზარდოთ!

სკკპ XXV და საქართველოს კპ XXV ყრილობებმა სახალხო განათლების სისტემის შემდგომ სრულყოფას დიდი ყურადღება დაუთმეს. სამხრეთ ოსეთის მასწავლებელთა და სახალხო განათლების მუშაკთა მეორე კონფერენციის ყურადღების ცენტრში სწორედ ამ გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანები იდგა.

კონფერენციამ განიხილა განათლების საოლქო განყოფილების გამგის **გ. ძაღოევის** მოხსენება — „მასწავლებელთა პასუხისმგებლობის ამაღლების ამოცანები სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1976 წ.) დადგენილების მიხედვით.

რეკოლუციამდელ ოსეთში წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი 5 პროცენტს ძლივს შეადგენდა, ამჟამად ყოველი 1000 კაციდან 458 აქვს უმაღლესი, საშუალო და არასრული განათლება. ახლა ოლქში 2276 მასწავლებელი მუშაობს. მათგან 2074-ს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება აქვს.

კონფერენციაზე დიდი ყურადღება დაეთმო მოსწავლეთა შრომითი აღზრდის საკითხებს. აუცილებელია, რომ ყველა პედაგოგმა, რა საგნის სპეციალისტიც უნდა იყოს, გაკვეთილი ისე წარმართოს, რომ მოსწავლეპატივს სცემდეს სასარგებლო შრომას. შრომითი აღზრდა უნდა გახდეს პროფესიული ორიენტაციის საფუძველი. მაგრამ გულისტკივილით ალაპარაკეს არაარუნლწლოვანთა დანაშაულზე. აღინიშნა, რომ განათლებისა და ადმინისტრაციული ორგანოები ნაკლებად ზრუნავენ პედაგოგების დანაშაულობათა აღსაკვეთად.

როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულებმა ილაპარაკეს შეუფერებელ სასკოლო შენობებით გამოწვეულ სიძნელეებზე. ბევრი სკოლის შენობა მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, ოლქის 48 საშუალო სკოლიდან ჯერჯერობით მხოლოდ ხუთმა შეძლო სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლა. საშუალო სკოლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის გრაფიკი კი წელს იწურება.

სპმხრეთ ოსეთის მასწავლებელთა მეორე კონფერენციაზე

კონფერენციამ **„საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში“** გამოქვეყნებულია ინტერვიუ — მომსახურების სფერო: წარმატების გარანტია.

ჟურნალის ახალი ნომერში გამოქვეყნებულია აგრეთვე: **ბ. ჯორბენაძე** — მეტი გვეძინდება ჩაი ქართული; **გ. ხაჩიძე** — მომეპირნეობა ჩვენი ყოველდღიური საზრუნავი; **გ. კენკაშვილი** — შეჯიბრებაში გავიმარჯვეთ და საკმაო გამოცდილებაც დაგვიგროვდა. **ახალი მთავარია** მისი გავრცელება; **თ. ლანჩავა** — შეხვედრა უხვი მოსავლის ოსტატებთან, **ჯ. მეხრიშვილი** — რეპორტაჟი კულტურის სახალხო უნივერსიტეტის ერთი მეცადინეობიდან.

ჟურნალს აქვს აგრეთვე განყოფილებები **„აგიტატორთა და დამრიგებელთა დასახმარებლად“, „გამოიყენეთ საუბარში“, „მართლწესრიგის სადარაჯოზე“, „მსოფლიოს რუკასთან“,** სადაც კითხველი ბევრ საინტერესო მასალას გაეცნობა.

„საქართველოს აგიტატორი“ № 5

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის **„საქართველოს აგიტატორის“** მორიგი, მეხუთე ნომერი.

ჟურნალის ახალი ნომერი იხსნება მოწონაგე წერილით — **საქართველომ საკავშირო შეჯიბრებაში გაიმარჯვა.**

რუბრიკით **„ოქტომბერი-60“** ჟურნალში დაბეჭდილია **ს. ცოტნაშვილის** სტატია — პოლიტინფორმატორი დიად ოქტომბერზე ცოცხლად, დამაჯერებლად მოუყვება.

ფაქტები, პროგლემები

ქსოფლიოს ამბავი

საკადესი და უცხოეთის პრესის საკვანძო ინფორმაციები

პაკისტანი

ოპოზიციის მანევრი

ისლამაბადი. (საკდესი). პაკისტანის პრემიერ-მინისტრმა ზ. ა. ბჰუტომ აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე გამოაცხადა, რომ უახლოეს ხანში გაიმართება ეროვნული ასამბლეის (ქვეყნის პარლამენტის) ქვედა პალატის 7 მარტს არჩეული ახალი შემადგენლობის სხდომა და შეიქმნება ახალი მთავრობა. როგორც ცნობილია, პაკისტანის მმართველმა სახალხო პარტიამ არჩევნებში დამჯერებელ გამარჯვებას მიაღწია — 155 ადგილი მოიპოვა 200-დან.

ზ. ა. ბჰუტომ დაადასტურა, რომ პაკისტანის სახალხო პარტია იცავს კურსს, რომელმაც წარმატება მოუტანა არჩევნებში. ეს კურსი ითვალისწინებს სახელმწიფო სექტორის შემდგომ განვითარებას, პროგრესული აგრარული რეფორმის განხორციელებას, მსხვილი კაპიტალის საქმიანობის შეზღუდვას.

ხვალ გაიმართება პაკისტანის პროვინციული კრებების არჩევნები. მაგრამ პაკისტანის ეროვნულ ალიანსში შემავალმა ცხრა ოპოზიციურმა პარტიამ გამოაცხადა, რომ აპირებენ ბოიკოტი გამოუცხადონ არჩევნებს. ოპოზიციის ლიდერებმა გადაწყვიტეს აგრეთვე უარი ათქვეფინონ ეროვნული ალიანსის დეპუტატებს ეროვნული ასამბლეის ქვედა პალატის მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე.

რუმინეთი

მიწისძვრით გამოწვეული ზარალი

ბუქარესტი. (საკდესი). აქ გამოაქვეყნეს ოფიციალური მონაცემები 4 მარტს მიწისძვრით გამოწვეული მსხვერპლისა და მატერიალური ზარალის შესახებ. ქვეყანაში დაინგრა ან ძლიერ დაზიანდა 20.000-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი, 7.000-მდე ოჯახი უსახლკაროდ დარჩა. დაზიანდა 195 სამრეწველო საწარმო, დაინგრა ბევრი საზოგადოებრივი შენობა, მაღაზია, სკოლა და სოციალურ-კულტურული დანესებულება. მიწისძვრით გამოწვეულმა ზარალმა დაახლოებით 6 მილიარდ ლეის მიაღწია.

9 მარტის მონაცემების თანახმად, სტიქიურ უბედურებას ემსხვერპლა 1.357 კაცი. 10.396 კაცი დაშავებულია.

ითვალისწინებს რა ქვეყანაში ცხოვრების ნორმალიზაციის მიმდინარეობას, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომბმა მიიღო გადაწყვეტილება 10 მარტიდან ქვეყანაში ბუქარესტის გარდა გაუქმდეს საგანგებო წესები.

შეწყდეს მაძიებლობა

პანამა. (საკდესი). ვერეგუასის გლეხთა კოოპერატივების ფედერაციამ პანამის მთავრობას გაუგზავნა პეტიცია, რომელშიც მოითხოვს გამოიძიონ პანამის ამ პროვინციაში ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეების მიერ მიწების უკანონო შესყიდვა. პეტიციაში აღნიშნულია, რომ მიწების შეძენის დროს ამერიკელები მამართავენ სხვადასხვა მაქინაციებს, რომლებიც ზიანს აყენებენ გლეხთა კოოპერატივების ინტერესებს.

მშვიდობიანი თანაარსებობისათვის

კაიროს თათბირის შედეგები

კაირო. (საკდესი). **დღეს აქ დამთავრდა არაბული და აფრიკული ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების პირველი თათბირი.**

საბოლოო სხდომაზე მიღებულ დოკუმენტებში კვლავ დადასტურდა, რომ თათბირის მონაწილეები მოუთმხრობლობასა და მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების ერთგული არიან, და ნათქვამია, რომ საჭიროა ახალი უფრო სამართლიანი საერთაშორისო ეკონომიკური წყობის შექმნა.

თათბირის მონაწილეებმა დადასტურეს აგრეთვე, რომ სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და სხვა ქვეყნების შინაგან საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების ერთგული არიან, მხარი დაუჭირეს ხალხთა თვითგამორკვევის უფლების და დაგმეს იარაღისა. მათ უკანონოდ მიაჩნიათ სხვა ქვეყნების ტერიტორიების ოკუპაცია ძალის გამოყენებით და იმ აზრს ადგანან, რომ უთანხმოებანი და კონფლიქტები მშვიდობიანი საშუალებით უნდა მოწესრიგდეს.

არაბული და აფრიკული ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა მათი ხალხების ერთიანი ფრონტის განმტკიცება ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. მათ განაცხადეს, რომ გმობენ ყოველგვარ იმპერიალიზმს, კოლონიალიზმსა და ნეოკოლონიალიზმს, სიონიზმს, რასობრივ და რელიგიურ დისკრიმინაციას, კერძოდ კი მის ისეთ ფორმებს, რომლებიც არსებობს სამხრეთ აფრიკაში, სხვა აფრიკულ და არაბულ ტერიტორიებზე, მათ განაცხადეს, რომ მთლიანად უპირველ მხარს პალესტინის, ზიმბაბვეს, ნამიბიის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჯიბუტის ხალხთა ბრძოლას კანონიერი ეროვნული უფლებების აღდგენისათვის.

არაარული და აფრიკული ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა დაგმეს იმპერიალიზმის ხრიკები, რომელიც სამხრეთ აფრიკისა და როდეზიის რასისტული რეჟიმებისა და მათი მოკავშირეების მეშვეობით მოქმედებს. ისეთი სუვერენული სახელმწიფოების წინააღმდეგ, როგორიცაა ანგოლა, ბოტსვანა, ლესოტო, მოზამბიკი და ზამბია. თათბირის აზრით, ეს მოქმედება მიმართულია მთელი არაბული და აფრიკული სამყაროს წინააღმდეგ და საფრთხეს უქმნის მთელი მსოფლიოს მშვიდობას. თათბირმა დაგმო ისრაელის ანალოგიური მოქმედებანი მეზობელი არაბული ქვეყნების წინააღმდეგ.

13-20 მარტს ლაიფციგში

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. 13-20 მარტს ლაიფციგში გაიმართება საერთაშორისო საგაზაფხულო ბაზრობა დევიზით „თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობისა და ტექნიკური პროგრესისათვის“. ბაზრობაში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს 66 სახელმწიფო, მათ შორის ეკონომიკური ურთიერთდახმარების წევრი-ქვეყნები. ბაზრობის ერთ-ერთი დიდი მონაწილე კვლავ საბჭოთა კავშირი იქნება.

ხერამუნი: ლაიფციგის ტრადიციული ბაზრობის ტერიტორიაზე.

ადნ-ხაკადესის ფოტო.

ხელს უშლიან გამოძიებას

ვაშინგტონი. (საკდესი). **წარმომადგენლობა პალატამ ხმების უმრავლესობით დაამტკიცა კონგრესმენის გ. გონსალესის (დემოკრატი ტეხასის შტატისაგან) გადადგომა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კენედის, მისი ძმის სენატორ რ. კენედისა და ზანგთა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის გამოჩენილი მებრძოლის მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობის გარემოებათა საგამოძიებო სპეციალური კომისიის თავმჯდომარის პოსტიდან.**

როგორც პრესა აღნიშნავს, ამ მოლაპარაკებაზე დიდი ყურადღება დაეთმობა წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ხელმძღვანელთა თათბირს, რომელიც ლონდონში უნდა გაიმართოს ამა წლის მაისის დამდეგს.

ჯ. კარტერთან მოლაპარაკების დროს ინგლისის პრემიერ-მინისტრი შეეხება აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და „საერთო ბაზრის“ ქვეყნებს შორის არსებულ წინააღმდეგობებს, რომლებიც უკანასკნელ ხანს გამწვავდა იმ პროტექციონისტულ ღონისძიებათა შედეგად, რომლებსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში აწარეგიონალებენ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნებიდან შემოტანილი საქონლის მიმართ.

მხმარებიან რასიზმს

ლონდონი. (საკდესი). **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის იმ გადაწყვეტილებათა მიუხედავად, რომლებიც გმობენ სამხრეთ აფრიკის რასისტულ რეჟიმებთან ეკონომიკურ თანამშრომლობას, ნავთობის მოხმოლიები აპირებენ სამჯერ გაზარდონ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში თავისთი კაპიტალდაბანდენი, წერს ინფორმაციული ჟურნალი „აშრიპი“.**

ინგლისი

პრემიერის ვიზიტი

ლონდონი. (საკდესი). **ინგლისა-ამერიკის ურთიერთობაში მრავალი გადაუჭრელი საკითხია და წინააღმდეგობის გამო დღეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯ. კარტერთან ორდღიანი მოლაპარაკებისათვის ვაშინგტონში მიფრინავს ინგლისის პრემიერ-მინისტრი ჯ. კალაგენი.**

როგორც პრესა აღნიშნავს, ამ მოლაპარაკებაზე დიდი ყურადღება დაეთმობა წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ხელმძღვანელთა თათბირს, რომელიც ლონდონში უნდა გაიმართოს ამა წლის მაისის დამდეგს.

ჯ. კარტერთან მოლაპარაკების დროს ინგლისის პრემიერ-მინისტრი შეეხება აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და „საერთო ბაზრის“ ქვეყნებს შორის არსებულ წინააღმდეგობებს, რომლებიც უკანასკნელ ხანს გამწვავდა იმ პროტექციონისტულ ღონისძიებათა შედეგად, რომლებსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში აწარეგიონალებენ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნებიდან შემოტანილი საქონლის მიმართ.

ლაპარაკობს ბენ ჩეივისი

ნიუ-იორკი. (საკდესი). მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ლაქეობრივი უფლებებისათვის ბრძოლის ფონდის ხელმძღვანელი ბენ ჩეივისი და ზანგთა მოძრაობის სხვა მოღვაწეები, რომლებიც „უილმინგტონის ათეულის“ სასელით არიან ცნობილი, შეთითხნილი ბრალდებით საფუძველზე ქალაქ მაკენინში (ჩრდილოეთ კაროლინის შტატი) საპყრობილეში ჰყავთ დამწყვდეული. მათ ერთად მოსჯილი აქვთ 282 წელის პატიმრობა.

საკდესის კორესპონდენტი ოლგა მაკენინში. მან შეძლო მიეღო ბენ ჩეივისის განცხადება იმ საკითხებზე, პოლიტიკური დევნის თაობაზე, რომელსაც იგი და მისი თანამებრძოლები განიცდიან. ბენ მოთქვა მან: ჩვენ პოლიტიკური და რასობრივი ცრურწმენების მსხვერპლი გავხდით. ახლა ამ ზადებენ ჩვენი „საქმის“ ახალ სასამართლო გარჩევას, მაგრამ არ გვჯერა, რომ გაგვამართლონ და გაგვათავისუფლონ.

ბენ ჩეივისმა თქვა, თუ რა ულმობლად ეპყრობიან ციხის ადამიანებს. ბენ მი თვალით ვნახე, რა მაგრად ჰყავდათ გაკავებული მათ პატიმრები, რომ ხელიდან არ გასხლტომოდნენ, და უკეთესდნენ პრეპარატებს, რომლებიც ადამიანი ფსიქიკურად მოქმედებს. ტუსაღებმა მიამბეს, რომ აწამებდნენ ელექტროდენით. ყოველივე ეს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის აშკარა დარღვევაა.

ბენჯამინ ჩეივისმა ყველა ამერიკელი პოლიტიკური პატიმრის სასელით რამდენიმე ხნის წინათ პრეზიდენტ ჯ. კარტერს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოუწოდა დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს ეს ტუსაღები.

უკანასკნელი ცნობების თანახმად, თეთრ სახლს დღემდე არ უპასუხია მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლის ამ მიმართვაზე.

ტელეტაიპის ლენტიდან

„შვიდეულის“ შეხვედრა

ლონდონი. ინგლისის დედაქალაქში გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა, რომ 7-8 მაისს აქ გაიმართება შვიდი ქვეყნის — დიდი ბრიტანეთის, იტალიის, კანადის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების შეხვედრა. ამგვარი თათბირები უკვე გაიმართა 1975 წლის ნოემბერში საფრანგეთში და 1976 წლის ივნისში — პუერტო-რიკოში. „შვიდეულის“ პრეტენზიებმა კაპიტალისტურ სამყაროში „განსაკუთრებულ როლზე“ დასავლეთში პროტესტები გამოიწვია ასეთი ვიწრო შეხვედრების პრაქტიკის წინააღმდეგ.

იქირავებენ მკვლელებს

ნიუ-იორკი. როდესაც **რახისტული** რეჟიმის დამხვრევ **რაზმებში** დაახლოებით 1200 უცხოელი დაქირავებულია, ახოშეიტედ პრესის საინფორმაციო საგენტო, რომელიც ამას ატყობინებს, აღნიშნავს, რომ დაქირავებული მკვლელების ყველაზე დიდ პროცენტს შეადგენენ ამერიკელები, რომლებმაც „გამოცდილება“ ინდოჩინეთის ბრძოლებში მიიღეს. მათი რიცხვი დაახლოებით ოთხასს უდრის, ყოფილ სამხედრო მფრინავებს, საზღვაო ქვეითი ჯარისკაცებსა და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა სამხედრო „სპეციალისტებს“ ფიზიკურად იყენებენ ინსტრუქტორებად, აგრეთვე იმ მოლარეშე ჯგუფების შემადგენლობაში, რომლებიც მეკობრულ რეიდებს აწყობენ მოზამბიკის ტერიტორიაზე.

კრუზეირის დევალვაცია

ბრაზილია. წელს მეხამედ არის დევალვირებული ბრაზილიის ფულადი ერთეული — კრუზეირო. ამჯერად ამერიკიელ დოლართან შეადარებით მისი კურსი 1,4 პროცენტით დაეცა. ამის შედეგად წლის დამდეგიდან კრუზეირო 5,74 პროცენტით გაუფასურდა.

ტაილანდის მოსახლეობა

ბანგკოკი. ტაილანდის მოსახლეობა შარშან წლის ბოლოს 43.545 ათასს შეადგენდა. ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში 4,5 მილიონი კაცი ცხოვრობს.



ევროპიდან

უახლოეს პერიოდში დაიწყება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXI სესიის მიერ მიღებული გარემო ზემოქმედების საშუალებათა სამხედრო ან სხვა რაიმე მტრული მიზნით გამოყენების აკრძალვის შესახებ კონვენციაზე ხელმოწერა და მისი რატიფიკაცია. ამ საერთაშორისო აქციის მნიშვნელობა და გარდუვალობა ნაკარნახევია ომის წარმოების, იმ ახალ საშუალებათა აღმოფხვრის აუცილებლობით, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის თვით კაცობრიობის არსებობას.

ჯერ კიდევ 1972 წლის ივლისში გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერდა: „როგორც პენტაგონის ერთ-ერთი დოკუმენტი მოწმობს, ამინდის ომი — ეს არის ომის (ინდოჩინეთში) გაძლიერების ერთ-ერთი მეთოდი იმ შვიდ ძირითად მეთოდთაგან, რომლებიც 1967 წლის თებერვლის ბოლოს შტაბერის უფროსთა კომიტეტის მოთხოვნით წარდგენილ თეთრ სახლს“. ამრიგად ჯერ კიდევ 10 წლის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უწყება ფლობდა ომის წარმოების საბოლოოდ დამუშავებულ ახალ საშუალებას. ამასთან მას სულაც არ ჰქონდა წმინდა თეორიული ხასიათი.

როგორც შემდეგ ცნობილი გახდა, 1961 წლიდან დაწყებული ამერიკის ჯარები ინდოჩინეთში ფართო „ექსპერიმენტებს“ ატარებდნენ სამხედრო მიზნით გარემოზე ზემოქმედების სხვადასხვა საშუალებების და მეთოდების გამოსაცდელად. კერძოდ, გზების დანგრევის, ზვავების წარმოქმნის, მიწის ფართობების ცალკეული უბნების დატბორვის მიზნით ხელოვნურად იწვიდნენ ან აძლიერებდნენ წვიმას. აყენებდნენ სხვა ცდებსაც — კერძოდ, ხელოვნურად იწვევდნენ გვალვას.

დეფოლიანტებით (ნივთიერებანი, რომლებიც მცენარეს ფოთოლს აცვენს) და ჰერბიციდებით (ნივთიერებანი, რომლებიც სპობს მცენარეულობას) ერთდროულად დამუშავეს სამხრეთ ვიეტნამის 58 ათასი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია. ამასთან საკმე მარტო ტყეების, ბაღების, ნათესების მოსპობით და ხიდაფის ნაყოფიერების დარღვევით არ ამოიწურებოდა. ამერიკელმა სპეციალისტებმა აღრიცხეს დამტვერილ რაიონებში ადამიანთა სეროზულილ დაავადების (რაც ხშირად სიკვდილით დამთავრებულა), საქონლის და საერთოდ ცხოველების გაწყვეტის მრავალი შემთხვევა. ნაპალმითა და სხვა საშუალებებით ვიეტნამში ძირფესვიანად გადაბუგეს ტყის ერელი ფართობები.

ეროზულ ხარისხს აყენებს გარემოს.

ასეთი საშიშროების რეალურობით იყო ნაკარნახევი საბჭოთა მთავრობის ინიციატივა, რომელმაც 1974 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეიტანა წინადადება დაეფიქსირა კონვენცია სამხედრო მიზნით გარემოზე და კლიმატზე ზემოქმედების აკრძალვის შესახებ. ეს საკითხი განიხილეს აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის მოლაპარაკებაზე 1974 წლის ზაფხულში. მხარეებმა მხარი დაუჭირეს „ისეთი ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფდა სამხედრო მიზნით გარემოზე ზემოქმედების საშუალებების გამოყენების საშიშროების აღმოფხვრას“. საბოლოოდ განიარაღების კომიტეტში წარადგინეს კონვენციის პროექტი, რომელიც კოლექტიურად დამატებით დამუშავდა განხილვაში მონაწილე მეტი წილი სახელმწიფოების თვალსაზრისის გათვალისწინებით. კონვენცია მოიცავს გარემოზე ზემოქმედების ყველა სახის საშუალების აკრ

ოქტომბრის შუქით ნაფენო...

ჩვენი მუშური ცხოვრება

ჩვენი საწარმო ახ ოც წელს ითვლის... ბევრი ამბის მომსწრეა. რევოლუციამდე სამხედრო ხელფასებზე, ამიტომაც ეწოდებოდა არხენალი. მისი მიზეზით არის, თბილისის ამ უბანს დღემდე რომ შემორჩა ეს სახელი. რევოლუციის შემდეგ ახალი ცხოვრებით ცხოვრობს, მანქანათსაშენებელ საწარმოდ გადაკეთდა, მოვდნენ მუშათა ახალი კადრები.

მაგონდება ის დიდი ყურადღება, რომელსაც უთმობდნენ ქარხანას ჩვენი რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელები, ჩვენი სახელოვანი ხერგო ორჯონიკიძე, მამია ორახელაშვილი, ხერგო ელიავა და სხვანი.

ნერგავდნენ ახალ იდეოლოგიას, ამტკიცებდნენ რევოლუციურ ტრადიციებს, ძველ რელიგიურ რიტუალებსა და წესჩვეულებებს უპირისპირებდნენ მათ. მაშინ მუშათა ნაწილი ჯერ კიდევ მისდევდა რელიგიურ რწმენებს, დადიოდა ეკლესიაში, იქ ნათლავდა შვილებს. მუშათა ათეისტური აღზრდა იმ დროს უპირველესი ამოცანა იყო. ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ გაენათლებინათ მუშა, აღეზარდათ მასში შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულება. ერთ-ერთ ღონისძიებად შემოღებული იყო კომუნისტური ნათლობები.

მახსოვს, ერთ ასეთ კომუნისტურ ნათლობაზე, რომელსაც ხერგო ორჯონიკიძე ეს წრებოდა, საამწყობო საამქროს მუშებმა, ზეინკლებმა ოსიფ ჩიკაძემ, გიგო არუთინოვმა, ელიშ გუშიანმა და სხვებმა შვილებს რევოლუციონერთა სახელები დაარქვეს. უსურვეს მათ ბედნიერი მომავალი, რევოლუციის საკმეველის ერთგულება. იდეოლოგიური აღზრდისადმი შეუნელებელმა ყურადღებამ თავისი ნაყოფი გამოიღო.

თექვსმეტი წლის მივედი საწარმოში. ქარხანა თვითვე ზრდიდა საკუთარ კადრებს, ჩამოყალიბებული ჰქონდა ორწლიანი საქარხნო-საფაბრიკო სკოლა, იქ ვსწავლობდი მეც. დამთავრების შემდეგ ზეინკლად დავიწყე მუშაობა, შემდგომ მომცეს საშუალება მუშათა ფაკულტეტიც დამემთავრებინა (იგი საშუალო განათლებას იძლეოდა) საკალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდისთანავე ისევ ქარხანას დავუბრუნდი.

გარეკ მიფასდებოდა — ამირჩიეს პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარედ, ვმუშაობდი დირექტორის მოადგილედ კადრების დარგში, ვიყავი პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების წევრი, რაიონული და თბილისის საქალაქო საბჭოების დეპუტატი, აგრეთვე, საქართველოს სსრ მეზუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სკკპ XXII ყრილობის დელეგატი. ერთგული და კეთილსინდისიერი მეზობელ მიყვარდა, პატივი და ღირსება არასოდეს მომკლებია.

ხამოდაცხრა წლის კაცი ვარ, დიდი ხანია პენსიაში გავედი, სამუშაოს თავს მაინც ვერ ვანებებ, არ მეთმობა ქარხანა, სადაც მთელმა ჩემმა ცხოვრებამ ჩაიარა. ჯერ კიდევ შემწევს ძალა ჩემს მშობლიურ საწარმოს სარგებლობა მოვუტანო, სახალხო საქმეს ვემსახურო.

ხიუვარულითა და სიხარულით ვახსოვს სამუშაოებს, რომელიც გრიბოედოვის სახელობისა და ოპერის თეატრების მშენებლებმა შეუცვეთეს ჩვენს ქარხანას. ჩემი ბრიგადა საქმეს მუშური გარანტიით ასრულებს, სახელმწიფო დავალებები და პირადი ვალდებულებები ყოველთვის გადაჭარბებით გვაქეს განაღდებული.

კეთილსინდისიერი გარჯით მოვიპოვე კეთილი ცხოვრება, მომცეს კეთილმოწყობილი ბინა, შვილებმა უმაღლესი განათლება მიიღეს. უფროსი ქალიშვილი ლიანა ფილოლოგია, ... ჩვენივე ქარხნის სამსავლო ბაღის აღმზრდელია, ნათელამ მუსიკალური ტექნიკუმი დაამთავრა, მასწავლებლად მუშაობს, დავითი კი თბილისის კონსერვატორიის IV კურსის სტუდენტია. მყავს ორი შვილიშვილი. ბედნიერი მამა და ბაბუა გახლავართ, შრომახა და პირად ცხოვრებაში საკეთე არ დამკლებია, მეტი რაღა უნდა ადამიანს...

შალვა ომანიძე,
თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის უსუფევი მუშა, შრომის ვეტერანი.

მკითხველი გვიმეორებს

კარგი იქნება

ბატონო ... მეცნიერ რაბოტა ... ... 1964 წელს გამოსცა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ატლასი ქართულ და რუსულ ენებზე, ვინაიდან განვლილი დროის მანძილზე ჩვენმა რესპუბლიკამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ სამეურნეო და კულტურული ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, აუცილებლად მიმაჩნია ასეთი ატლასის გამოცემა ამჟამად და, საერთოდ, მიმი გამოცემა ყოველ 10 წელიწადში უნდა გამეორდეს ქართულ, რუსულ და ერთ-ერთ უცხოურ ენებზე. უკეთესი იქნება, თუ ატლასის გამოცემებს დავუკავშირებთ ხუთწლედებს, როგორც მორიგი ხუთწლიანი გეგმის შესრულების თვალსაჩინო დოკუმენტს.

ჯ. ტატიშვილი,
ინჟინერ-გეოლოგი.

ვნეროთ გარკვევით

დიდი ბელადი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი თავის ხელმოწერას გარკვევით და გასაგებად აღნიშნავდა — ის წერდა: ვ. ულიანოვი (ლენინი) და არ ამოკლებდა გვარსა და ფსევდონიმსაც კი. ეს ყოველად მართებულია: დადგენილებას, მომართვას თუ სხვა დოკუმენტს პასუხისმგებელი პირები — მინისტრი, თავმჯდომარე, მდივანი გვარს უნდა აწერდნენ მთლიანად, სახელს — ინიციალთან, რათა გასაგები იყოს, თუ ვინ არის დოკუმენტის ავტორი. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელ ხანს ასეთი სენი გაჩნდა — ხელმოწერას ამოკლებენ, ზოგჯერ — ამახინჯებენ კიდეც და ძეხორციელი ვერ ამოიკითხავს. უფრო მეტიც: ბევრი პასუხისმგებელი მუშაკი თავის ხელმოწერას ერთი პირველი ასოთი აღნიშნავს, შედგომ უბრალო ხაზია, ან გაკრული ხელით ნაწერი.

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა გვაქვს საექიმო რეცეპტების მხრივ. ექიმები ისე დაუდევრად და ულაზათოდ აღნიშნავენ ბლანკზე ავადმყოფისა და თავის გვარს, რომ ზოგჯერ მათი ამოკითხვა შეუძლებელი ხდება. ეს კი აფთიაქის მუშაკებს მუშაობას უნელებს.

ვინაობის მთლიანად დაწერა ფორმალური მხარე როდია. ეს საჭიროა საბუთის სრულყოფისა და გზაგნილების სისწორისათვის. მაგალითად, სახელმწიფო ბანკი ფაქსიმილეს არ მიიღებს, თუ გარკვევით და მთლიანად არ არის ხელმოწერა დოკუმენტზე. ზოგჯერ დოკუმენტს ხელს აწერენ მოადგილეები (ხაზის ჩამოსმით), მაგრამ ისე გაურკვევლად და შემოკლებით, რომ ვერ ამოიკითხავ.

საინტერესოა, რას იტყვიან სხვა მკითხველები ამ საკითხის გამო?

ვ. გოლაძე.

წინადადება

ასე ხომ არ აჯობებს?..

ამას წინათ № 27 აფთიაქში პერსონალურმა პენსიონერმა დ. ხანთაძემ საჩივრისა და წინადადების წიგნი მოითხოვა იმის გამო, რომ მისი შეკვეთა ვერ მიიღეს. შეკვეთაზე უარის თქმა კი შუშის უქონლობის ბრალი იყო.

„თქვენს შეკვეთას ვერ მივიღებთ". სამწუხაროდ, ამ სიტყვებს ხშირად მოისმენთ ბოლო დროს დედაქალაქის აფთიაქებში. შუშის ტარის დეფიციტი საგრძნობ ზიანს აყენებს როგორც აფთიაქს, ისე მომხმარებელს. ცენტრალიზებულია წესით გამოყოფილი შუშის 100 და 250 გრამიანი ჭურჭელი რესპუბლიკის აფთიაქებისათვის ზღვის ერთი წვეთია. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება ციფრებს მივმართოდ. გასულ ხუთწლედში რესპუბლიკის აფთიაქებმა მოსახლეობაზე 50 მილიონი წამალი გასცეს შუშის ჭურჭლით. მიმდინარე ხუთწლედში მოსალოდნელია ამ ციფრის ზრდა. ამ მხრივ უკვე გატარებულია სათანადო ღონისძიება საყოფაცხოვრებო ჭურჭლის ქარხნის მშენებლობის შესახებ და იმედია უმოკლეს ხანში საკითხი დადებითად გადაწყდება.

არსებობს საკავშირო კანდაცვის სამინისტროს ბრძანება, რომელიც კრძალავს მოსახლეობისაგან შუშის ტარის შეძენას, რადგან აფთიაქებში მისი შეტანა მხოლოდ ცენტრალიზებული წესით ხდება, მაგრამ ამ საკითხის მოგვარებამდე საჭიროა დროებითი ღონისძიების გატარება ხანგრძლივადგურთან შეთანხმებით. ამიტომ, ხომ არ აჯობებდა მოგვიგვარებინა მოსახლეობამი გაბნეული საფთიაქო ჭურჭლის შესყიდვის ორგანიზაციის და უახლოეს აფთიაქებში მათი ჩაბარების საქმე?

ს. სალუქვაძე,
ქ. თბილისის № 27 აფთიაქის გამგე, ი. ქუთაისელაძის სახელობის სამეცნიერო-ფარმაცევტული საზოგადოების წევრი.

რ ო ლ ე ბ ი ...?!

ისე, ვით უბინაონი...

რატომ უგულვებელყოფს „საქთეკზმრეწვის" გაერთიანების სამშენებლო ორგანიზაცია მოქალაქეთა სამართლიან მოთხოვნას?

ისე მომწყურდი, ისე მომწყურდი, ვით უბინაოს ყოფნა ბინაშო, — უთქვამს ჩვენს დიდებულ მგოსანს. მართლაც ძნელი და მძიმე ასატანია მიუსაფრობა და უბინაობა. მაგრამ კიდევ უფრო საშინელი რამ თურმე ის ყოფილა, როცა ბინა გაქვს და მაინც უბინაო ხარ!

დიახ, სწორედ ამ დღეში ვართ ჩვენ, თბილისში, ფალიაშვილის ქუჩის № 66 სახლის მაცხოვრებლები. არადა, თავიდან მშვენივრად ვცხოვრობდით, ვზრდიდით შვილებს, ვალამაზებდით ეზოს, მაგრამ ეი ერთ მშვენიერ დღეს ჩვენს ეზოში ხმა დაირხა — „საქთეკზმრეწვის" სამმართველოს ჩვენს სახლზე სართულის დაშენება სურს, და, თუ თანახმა ვიქნებით, 52 ოჯახს შუშაბანდიანი ლოჯიები მოგვემატებაო.

შეეცდით, მიეცით დაშენების უფლება და ამ დღიდან დაიწყო ჩვენი წამებაც. მშენებლობას შეუდგა „საქთეკზმრეწვის" გაერთიანების სამშენებლო ორგანიზაცია (ყოფილი უფროსი რ. ბაკლიშვილი, მთავარი ინჟინერი ე. ბარამიძე, სამუშაოთა მწარმოებელი გ. ფულისაშვილი). იგი ძალიან ნელა მიმდინარეობდა, მაგრამ ჩვენ ამას არაფრად ვაგდებდით. იქნებ საქმე მკვდრად და ხარისხოვნად გაკეთდეს-თქო.

მშენებლებმა თავიანთი სართული გაალამაზეს, გამაორეს, მოპირკეთეს, თვითონაც შესახლდნენ, „საქთეკზმრეწვის" გაერთიანების მუშა-მოსამსახურეებიც დაბინავეს და... ჩვენ დავავიწყეთ.

ძველი მობინადრეების ბინების თავზე ტექნიკურ სართულში თავდაყირა მოაწყეს წყალკანალგაყვანილობა, არასწორად განალაგეს მილები, ამოუშენებელი და უშუბანდოდ დასტოვეს ლოჯიები.

ყოველივე ამან აუტანელი პირობები შეგვიქმნა, ზედა სართულებიდან ჩამონადენი წყალი გვინგრეეს ბინების და, რაც მთავარი და ყველაზე საგანგაშოა, სართულის არასწორად დაშენების, საერთოდ სახლის არასათანადოდ გამაგრების გამო მთელმა შენობამ დეფორმაცია მიიღო, დაზიანდა კედლები, გაჩნდა ბზარები, პირველ, მეორე და მესამე სართულში მოიშალა წყალკანალიზაციის გაყვანილობა, რაც მთლიანად შეცვლას მოითხოვს.

ამ ჩვენს გაჭირვებას, ცხადია, გულხელდაკრეფილი როდი ვუყურებდით, განცხადებებს ვწერდით და ცოდვას ვერ ვიტყვით, არც ყურადღებას გვაკლებდნენ, კომისიები (მათი ჩამოთვლა კი ძალიან შორს წაგვიყვანს) ყოველთვის ერთხმად აღიარებდნენ: სახლის დეფექტები „საქთეკზმრეწვის" გაერთიანებამ სასწრაფოდ უნდა გამოსწოროს.

ამ ერთი წლის მანძილზე ჩვენი სახლის მობინადრეებს არ დაუტოვებიათ არცერთი კომპეტენტური ორგანიზაცია დახმარებისათვის რომ არ მიმართოთ. ყველგან გულისხმიერად გვღებულობდნენ, მაგრამ „საქთეკზმრეწვის" ვიიმშენებლებზე სათანადო ზემოქმედება ვერავინ მოახდინა. სახლის მშენებლები, ქალაქის არქიტექტორის შესაბამისი სამსახური იქამდეც კი მივიდნენ, რომ ცდილობენ შეამცირონ ადრე დამტკიცებული პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები, რომლებიც არ შეუსრულებიათ, ოღარ აპირებენ ლოჯიებში შუშაბანდის გაკეთებას და იატაკის დაგებას, ზემდგომ ორგანოებს ყალბ პასუხს სწერენ, თითქოს ამ სამუშაოს შესრულება მიზანშეუწონელია.

როდემდე უნდა გაგრძელდეს ჩვენი გაჭირვება? რატომ არ სრულებს „საქთეკზმრეწვის" გაერთიანება ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებებს?

თ. ადამიშვილი, ა. ბარიშელიძე, გ. ფხაკაძე,
ფალიაშვილის ქ. № 66 სახლის მცხოვრებნი.

კარგი იყო, არ გაგვეცან თავიდან...

ორპირი ტყიბულის ზონაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოფელია. ბოლო ხანებში მას რამდენიმე საყოფაცხოვრებო დაწესებულება შეემატა, მათ შორის — ბანოკა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი უდღეური გამოდგა და სულ მალე არსებობა შეწყვიტა. მიზეზი, — იკითხავთ, ალბათ. მიზეზი წყლის მცირე დებეტიანობა გახლავთ. ჰოდა, ავერ უკვე ოთხ წელზე მეტია, ბანოს დიდი ბოქლომი ადევს.

მერე რაღაც იმედმა გაიცალა: სოფელში ახალი წყალსადენის მშენებლობა დაიწყო და გაჩნდა იმისი რეალური შესაძლებლობა, რომ ბანო საჭირო რაოდენობის წყლით მომარაგებულიყო და ნორმალურად ემუშავა.

მაგრამ აქ კიდევ ერთი „მაგრამ" აღმოჩნდა: საშველი აღარ ყოფილა ბეტონის დიდი აუზის აშენებას. „საქსოფლტექნიკამ" კოლმეურნეობას დღემდე ვერ გამოუყო საარსატერე რკინა და სხვა საშენი მასალები.

რა ქნან ორპირელებმა? ამ აუზის დამთავრებამდე დაუბნელები ხომ არ ივლიან: დიდი ცოდვითა და ვაი-ვაგლახით შინ წყალს აცხელებენ და ეუბეყს თავს არ აჭმევინებენ. ზოგჯერ ბანოს ოხშივარი და ბარაქიანი ცხელი ზხაპი რომ მოენატრებათ, საბანაოდ ტყიბულში ან ქუთაისში მიდიან. თვალი მაინც თავისი შშობლიური სოფლის ბანოსკენ რჩებათ. მის კარზე დაკიდულ ჯანგიან ბოქლომს რომ შეხედავენ, სევდიანად ჩაიღიღინებენ: კარგი იყო, არ გაგვეცან თავიდან...

ი. მერკვილაძე,
ტყიბული, სოფელი ორპირი.

როგორ გვემსახურებიან?

კური, კარადა, მინები...

პატარა ბარათებს რედაქციაში მოაქვთ ადამიანთა ყოველდღიური საფიქრალ-საზრუნავი. ზოგი მათგანი ფართო მასშტაბურ პრობლემებს ეხება, ზოგი კი მცირე, პირადულ სათხოვარს. მაგრამ როგორი განსხვავებულიც უნდა იყოს თვითეულის შინაარსი, შეიძლება გამოინახოს საერთო დამახასიათებელი ნიშანი.

კორესპონდენციის ავტორებს ამოძრავებთ სურვილი — მიაყენონ ახალ, სასიკეთო ძვრებს, საკუთარი წვლილი შეიტანონ ნეგატიური მოგლენების აღმოფხვრაში, ხელი შეუწყონ საერთო საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას.

ტყიბულელი მოქალაქეები გ. ჭასრაშვილი, ო. ცერცვაძე, გ. ქემოკლიძე, ც. რობაქიძე წერილში — „ხად ვიშოვოთ შავი პური?" — საყვედურს გამოთქვამენ თეიანთი ქალაქის პურის მაღაზიის გამყიდველთა მისამართით.

„ჯერ იყო და წლების მანძილზე მაღაზიებში ვერ ნახავდით შავ პურს. ახლა წელიწადზე მეტია მომარაგების გამო ხაყვედურის თქმა შეუძლებელია, მაგრამ რა? მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი პირუტყვის საკვებად ეზიდება მას, ფუთობით ყიდულობს და შინ მიაქვს. ამაზე განსაკუთრებული კონტროლი უნდა დაწესდეს".

ავტორები მოითხოვენ აგრეთვე დიაბეტით დაავადებულთათვის სპეციალური სასურსათო მაღაზიის გახსნასაც.

საგულისხმო მოთხოვნებია ეს ალბათ, ტყიბულის მომარაგებისა და გაჭირობის მუშაკები გაითვალსწინებენ მათ.

მეორე წერილი, რომელმაც ყურადღება მიიპყრო, გახლავთ თბილისელი მოქალაქის ბ. ხოლომონაშვილის კორესპონდენცია. აი რას გვწერს იგი:

„თბილისის ავეჯის მე-16 მაღაზიაში შევიძინე 120-მანეთიანი წიგნების კარადა. როცა უშინოდ შეუდგნენ მის შეფუთვას, მოვითხოვე მინები. გამგემ მიპასუხა: ქუთაისიდან 40 კარადის მინაა მოსატანი, როცა მივიღებთ, მოგვრომეკეთო. კვირას კვირა მისდევდა, მაგრამ მინებს არ გზავნიდნენ. ბოლოს მაღაზიაში ესლა გვითხრეს: ნაბრძანდით ქუთაისის ავეჯის კომბინატში და მოახსენეთ თქვენი მდგომარეობა, იქნება ჩვენც გვეშველოსო (?!). კულტურული მომსახურებაც ამას ჰქვია". — ასკვნის ავტორი.

როგორც ეტყვიან, კომენტარი ზედმეტია, მაგრამ ჩვენ გვსურს ორიოდ კითხვით მივმართოთ თბილისის ავეჯის მე-16 მაღაზიისა და ქუთაისის ავეჯის კომბინატის ხელმძღვანელობას. ამხანაგებო, როგორ გეკადრებათ ასე მუშაობა? განა შეიძლება ავეჯის კომბინატმა სარეალიზაციოდ გამოგზავნოს დაუმთავრებელი ნაწარმი, ხოლო მაღაზიამ კი მიიღოს იგი?

ამ კითხვებზე რედაქცია შესაბამისი ორგანოებიდან მოელის პასუხს.

... ...

... ...

კეთილი სიტყვა კეთილ ადამიანებზე

მისი კარგი ქალობა

წელიწადის ყოველ დროს დიდებულია სვანეთი. ათასი კოშკის მხარე აოცებს, ატყვევებს მნახველს. ამიტომაც დაუსრულებლად მოილტვიან აქეთკენ ტურისტები, მოაგროაკენი ჩვენი ქვეყნის უმორჩილი კუთხეებიან, უცხოეთიდან. „სვანეთში ერთხელ ჩამოსული კაცი ჯერ წასული არ არის, რომ უკვე აქეთ ხელმეორედ გამომგზავრების გეგმებს აწყობს.

ხომ წარმოგიდგენიათ, როგორია ეყვარებათ თვით აქაურ მკვიდრთ მშობლიური მიწა?

სვანეთის მკვიდრია ექიმი ლუბა ნიკორაძე. მისი ბაბუა პედაგოგი და სახოგადო მოღვაწე გაბრიელ ნიკორაძე თავისი კუთხის დიდი მხრუნველი და მოამაგე კაცი იყო. ერთი პირობა, გადიფუწყვეტა, თბილისში გადასულიყო საცხოვრებლად. და ეს სურვილი დიდი ილიასათვის გაუხდეია. ილიას უთქვამს: ჩემო გაბრიელ! შენ უფრო შენს ხალხს სჭირდები და აბა, როგორ იქნება, ბედის ანაბარა დატოვო ისინი! და ისიც უყოყმანოდ დარჩენილა და ერთგულად უტარებია ძმისე ტვირთი ორმოცდაექვსი საბოგადო მოღვაწისა.

რომ იტყვიან, თავისი ხალხისათვის იცხოვრა ლუბას მამამ გიორგი ნიკორაძემაც. 1913 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, ათეული წლების განმავლობაში ემსახურა. იგი სვანეთის მოსახლეობის ჯანმრთელობის საქმეს. ის გახლდათ ზემო სვანეთის პირველი მკვიდრი ექიმი, მებრძოლი ათეისტი, შეუპოვარი, კეთილშობილი ადამიანი, რომელმაც თავისი თანამემამულენი დაარწმუნა — ავადმყოფს ექიმი და ღა წამალი არჩენს და არა ექიმმაში და შელოცვაო. რესპუბლიკის დამსახურებულ ექიმს ვიორგი ნიკორაძეს ყოველ ოჯახში სამხნეკვე, იმედი მიჰქონდა. ის არა მარტო კურნავდა ავადმყოფებს, არამედ მატერიალურადაც დიდად ეხმარებოდა.

აი ასეთი ოჯახის შვილია ლუბა ნიკორაძე. 1951 წელს მან თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი დამთავრა, ორი წლის შემდეგ — ორდინატურა და, მეელი ზემო სვანეთის სასიხარულოდ, სამშობლოში ჩამოვიდა, თავის მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა, თუმცა მისი ნიჭიერება, იმავითა სიდერბაისლე და დახვეწილი გარეგნობა დედაქალაქის ნებისმიერ სამეცნიერო ინსტიტუტს დაამშვენებდა.

ძნელია ექიმის ცხოვრება მთაში! რა უნდა ქნა, როცა შუალამისას, ავდარში ავადმყოფის პატრონი კარზე მოგადგება და იტი. — ერთადერთ მხნელს მეწმინა ხედავს? ვინ მოთელის ნიკორაძეების სახლის კარს რამდენჯერ მისდგომია გაჭირვებული ადამიანი. მისდგომია და ნუგეში უპოვნია, დარდისგან დაზაფრულს შვება მისცემია.

და ახლა ლუბა ნიკორაძეც, თავისი პროფესიისა და ოჯახის ტრადიციების ერთგული, უყოყმანოდ მიჰყვებოდა მეგზურს მაწყანით, ცხენით, ფეხით — ძნელად სავალ ბილიკებზე.

მესტიიდან იფარამდე 18 კილომეტრია. გზად უერის ულელტეხილია. პირველად რომ ლუბა იფარში იხმეს, დიდოთვლონა იყო. ხან ცხენით, ხან ქვეითად ფარა, გამთენიისას ჩავიდა და ვიდრე ეძიებ. ავადმყოფი არ მოაკვლინა, მის სარეცელს არ მოსცილებია.

— თბილისელი ექიმის ჩამოყვანა მინდოდა, — მითხრა სოფელ ნაკრის მცხოვრებმა ი. ცინდელიანმა, — რა ვიცოდი, ასეთი გამოცდილება თუ დაუგროვებია ჩვენს ლუბას. ეს ბიჭის კუთხის ინფარქტი დამემართა. ჰოდა, ცნობიერება რომ დამიბრუნდა, ჩემ წინ ლუბას სახე დავინახე — მესტიიდან ჩამოსულიყავნთ. სანამ უკეთ არ შეეძინე, არ მომშორებია. ახლა, ხომ ხედავთ, ჩემს სამუშაოსაც დაუბრუნდი.

ხაიშში სამუშაოდ ჩამოსულ გეოლოგს ფილტვების ორმხრივი ანთება დაემართა. მდგომარეობა უძიმესი იყო. მესტიიდან მომავალი ექიმი სამ საათს უცადდა, ვიდრე გზის გაყვანისას აფეთქებული ქანების ჩახერგილ სავალს გაწმენდდნენ. მიზანს მაინც მიაღწია და ადამიანი განსაცდელისაგან იხსნა.

განა შეიძლება მისი ყველა კეთილი საქმის ჩამოთვლა? ეს არც არის საჭირო. ლუბა ნიკორაძეს ჩვენში უანისოდაც კარგად იცნობენ. იცნობენ, უყვართ და პატივს სცემენ კარგი ქალობისათვის, დიდი ადამიანობისათვის. ამიტომაც აარჩიეს ერთსულოვნად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ტ. არღვლიანი.
მესტია.

ალერსიანი სიტყვის ფასი

პატივცემულო რედაქციავ! თბილისში ჩამოსვლა ხშირად მიხდება, უფრო ხშირად — წამლებისათვის. ჩვეულებრივ, ქალაქის № 1 აფთიაქში მოვდივარ ხოლმე, ლენინის მოედანზე. აფჯერადაც იქ წავედი. ჩემთვის საჭირო წამალი რომ არ აღმოჩნდა, ცნობათა ბიურო მოვიკითხე, მაგრამ მითხრეს — აქ აღარ არის, სხვაგან გადაიტანესო. სიმართლე უნდა გითხრათ, მეწყინა, რადგან, ჩემი აზრით, ცნობათა ბიურო სწორედ აქ, ცენტრალურ აფთიაქში უნდა იყოს. მერე აფთიაქის ხელმძღვანელობა მოვიკითხე. კარი გაიღო და შავგვრემანი ქალი გამოვიდა, როგორც აღმოჩნდა — გამგის მოადგილე. წაიკითხა რეცეპტი და ისე შეწუხდა, რომ წამალი მოიდგინეთ, შემომცოდა. მერე სანაცვლოდ ვალიდოლის წვეთები და ლიდაზის ინექციები შემომთავაზა (მითხრა, ეს დროებით იხმარეთ, მალე ის წამლებიც გვექნებაო), ხმარების წესიც მასწავლა. ისეთი ტკბილმოუბარი და ალერსიანი ჩანდა, მის თვალებში იმდენი სიკეთე და თანაგრძნობა გამოსჭვიოდა, რომ ჯადი შემომსუბუქდა. მივდიოდი და ჩემთვის ეფიქრობდი: რა კარგი იქნება, ყველა რომ მარიჯა გოგიაშვილს ჰგავდეს მეთქი. განა არის რაღა ალერსიანი სიტყვის ფასი?

ა. ცხადაძე,
პერსონალური პენსიონერი, სამტრედია.

კეთილი საქმენუ დალეოდეს!

ამაზეწინათ დიდი ხნის ოცნება აგვისრულდა ხაშურის რაიონის სოფელ სვანისუბნის მცხოვრებლებს. სოფლის ბოლოს რკინიგზის ბაქანი ვაკეთდა, სადაც ათი საგარეუბნო მატარებელი ჩერდება. ჩვენ გვსურს მთელი სოფლის სახელით, თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა ვუთხრათ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში ჩვენს დეპუტატს — ელადიმერ დავითის-ძე ჩიქოვანს, რომელიც ამ საქმის მოგვარებაში დაგვეხმარა. კეთილი საქმენუ დალეოდეს ჩვენს რჩეულს!

სვანისუბნის მცხოვრებლები: ბ. ელისაშვილი, კოლმეურნე, ბ. გელაშვილი, ლიანდაგის შემომმვლელი, ა. რევაზიშვილი, პედაგოგი, მ. ელისაშვილი მეგზარეანე და სხვები.

ახალი საქონელი—ხალხს



პირველი პროდუქცია გამოუშვა ხიხ ბურბუშელის ფილების ახალმა საამქრომ, რომელიც სამტრედიის ხიხ გადამამუშავებელ კომბინატში ამუშავდა.

ეს ფილები გამოიყენება ბაღლარსახოვანი ავეჯის დამზადებისათვის.

სურათზე: ოპერატორი ზურაბ ელისაშვილი (მარცხნივ) და ტექნოლოგი კოტე ბაბალოძე ახალი საამქროს ავტომატური მართვის პულტთან სამტრედიის ხიხ გადამამუშავებელ კომბინატში.

ბ. ბერსამიას ფოტო.

აქ შენდება ქინვალჰესი

აქ ენინვალჰესი შენდება,
სადაც ბმირთ ნამუხლარია,
სადაც იყრება ერთადა
ორი არაგვის წყალია.
სადაც დგას კავკასიონის
გოლიათების ჯარია...
სადაც ჩრდილოადა
ვარსკვლავებს
მზეთა-მზე თამარ ქალია,
სადაც ოქროსფერ
კულულებს
უნიავებდა ქარია.

სადაც მოზღვავდა მთებიდან
სამასელთ „ნიაღვარია",
ვისიც ცეცხლივით ცვიოდა
ცხენის ნალთა ნაპერწკალნა,
დაეშვნენ კრწანისისაკენ
როგორაც გრიგალქარია.
სადაც წარუმლელ კვალად
ჩანს
ვაჟაის ნატერფალნა,
კაცურ-კაცობით სამშობლოს
ვინც მოუხადა ვალია.
სადაც მნახველი ბუნების
სიტურფისაგან მთვრალია,
სადაც პარტიის ნათელი
მზის შუქად ჩამომტკბარია,
სადაც მეათე ხუთწლედის
გუგუნებს შრომის ზარია.

ვ. ხუციურაული.
დუშეთის რაიონი, სოფელი ხორხი.

იუმორეტკა

ძ ა ლ ა სიყვარულისა

დიდი ხანია ვეტერფოდი შორიდან. ოცენებობდი ამ სანუკვარ დღეზე, როცა ბოლოსდაბოლოს უნდა შევეროდით ერთმანეთს და, თუ მისი სურვილიც იქნებოდა, ერთ ჭერქვეშ დაგვედო ბინა. ეს დღეც დადგა. საღამოდ დამშვენდა ჩემი პატარა სახლი. განუზომელმა სიხარულმა დაახადურა ჩემს გულში. ის ძალიან ლამაზი იყო, მიმზიდველი. ფშვიანად ლაპარაკობდა, მაგრამ **როცა** რამეზე გამესაუბრებოდა, ისეთი წკრიალა, მომხიბლავი ხმა ჰქონდა, მის მსმენელს თავი ზღაპარში მეგონა; თითქოს ის კი არა, თვით ზღაპრული ფერია ჩასახლებულიყო ჩემს სახლში.

ერთი სიტყვით, უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი. მაგრამ, ოჰ, ეს „მაგრამ" — ყველაფრის შემცველი და თავდაღმა დამყენებელი, კაცობრიობის ისტორიის დასაბამიდან ყველაფერში ჩარეული, ადამიანის ბედისა თუ უბედობის, ათასგვარი ინტრიგებისა თუ ხრიკების მონაწილე! დიდხანს არ გაგრძელდა ჩემი ბედნიერება. ჩემმა ფერიამ რატომღაც! გული აიცრუა ჩემზე. **რაკი** ყველაზე უფრო მომწონდა მისი — ხმა — მალე სანატრელი გამიხდა: ხშირად მემუტებოდა. მთელი დღე ისე გავდოდა, ხანდახან მთელი კვირაც, რომ ერთხელაც არ შემეხმიანებოდა. რამდენჯერმე „ექიმი" გამოვიძახე, იქნებ ავად არის მეთქი. „ექიმმა" უტრიალა, გასინჯა, თითქოს სწორი დიაგნოზიც დაუსვა და, ჰოი, საკვირველებავ, როცა უკვე თითქმის დაკარგული მქონდა მასთან შერიგების იმედი, ხმა გამცა. მაგრამ ვამჩნევდი — მის ხმას ბზარი შეეპარა. საუბრის დროს მოულოდნელად ენა ჩაუვარდებოდა და ისევ „ექიმის" გამძახებად იწყებოდა... ასე გაგრძელდა დიდხანს. გავხდი, წონაში დავიკელი (მანამდე ნორმალური წონისა ვიყავი), მას. კი გამოკვეთებისა არაფერი ეტყობოდა. ეჭვებმაც შემიპყრო: — „იქნებ ჩვენს შორის ვინმე დგას? — და იქამდე მივედი, რომ კინალამ სახლიდან გავაგდე. მაგრამ დიდი ყოფილა ძალა სიყვარულისა — ვერ შევეელიე. განუკურნებელი სენი სჭირს, მაგრამ ისევ ჩემთან არის, ჩემს ჭერქვეშ, ჯამიდანვამ მდუმარე, მაგრამ გარეგნულად ისევ ისე მომხიბვლელი, ჩემი ლამაზმანი, ჩემი ჩეხური მოდელის, თბილისის კავშირგამბულობის მავთულ-ხადენებთან და ჩემთან სამუდამოდ უსეიროდ დაკავშირებული... ტელეფონის აპარატი.

ო. ტონია,
თბილისის მეტროპოლიტენის ბლოკსაგუშაგოს შორიგე.

ჩვენი კუთხის სიახლენი

სამოგავლოდ

ნინაკაიას რაიონის მშრომელები დიდი სიხარულით შეხვდნენ გადაწყვეტილებას „ქალაქ ცხაკაიას სამრეწველო-საწარმოო ზონის შექმნის შესახებ". კეთდება სამვილიშვილო საქმე — ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, სოფელ ნოსირში იქმნება დიდი სამრეწველო კვანძი. ცხაკაია განიტვირთება სამრეწველო ობიექტებისაგან და ქალაქს მიეცემა განვითარების ხელსაყრელი პირობები, ნოსირის ტერიტორიაც მრეწველობის გაფართოების პერსპექტივებს შექმნის.

ჩვენი ქარხანაც ნოსირის სამრეწველო საწარმოო კვანძში შედის. ნაგებობების ასაშენებლად 6 პექტარი ფართობი გამოიყო. აიგება კომბინირებული საკვების ქარხანა, რომლის სადღეღამისო წარმადობა 500 ტონა იქნება. მომავალი წლიდან სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მე-5 ტრესტი დაიწყებს ტერიტორიის შემოკავებას, ელევატორების მშენებლობასა და სხვა სამუშაოებს.

ა. კოკაია,
ცხაკაიას კომბინირებული საკვების ქარხნის დირექტორი.

ნანატრი ხიდი აიგო

რაც თავი ახსოვთ, ქედის რაიონის სოფელ დანდალოში არეფანგებისა და ტაკიძეების უნნის მაცხოვრებლები კიდული ხიდით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. ბოლო დროს გადაწყდა, მდინარეზე სამანქანო კაპიტალური ხიდი აგებულიყო. ეს საქმე ქედის საგზაო-საწარმოო უბანს დაევალა. ასრულდა დიდი ხნის ნანატრი: კაპიტალური ხ

მოსკოვური დღიურები

დედაქალაქი ტაშს უკრავს

საბჭოთა კავშირის ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში გაიმართა საღამო „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კულტურა და ხელოვნება“... ეს საინტერესო ღონისძიება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს მიეძღვნა. საღამო მოაწყვეს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და საბჭოთა კავშირის ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურმა სახლმა.

საღამო გახსნა და ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა რსფსრ დამსახურებულმა არტისტმა ა. მირონოვმა.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ო. თაქთაქიშვილმა. მან გაიხსენა რუსეთის და საქართველოს კულტურული ურთიერთობის ტრადიციები, მადლობით მოიხსენია რუსი მოღვაწეები, პოეტები და მწერლები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ქართული ლიტერატურის ნიმუშების თარგმნისა და რუსი მკითხველისათვის გაცნობის საქმეში.

რუსეთის თეატრალური საზოგადოების სახელით ქართული კულტურის და ხელოვნების მუშაკებს მადლობა გადაუხადა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა მოსკოვის სატირის თეატრის დირექტორმა ვ. პლუჩეკმა.

დასასრულ გაიმართა საზეიმო კონცერტი, რომელშიც მონაწილობა მიიღეს ქართული ხელოვნების ოსტატებმა.

დ. მაჭავარიანი.

ახალგაზრდების ხმები

საქართველოს ახალგაზრდა კომპოზიტორები ახალი საინტერესო ნაწარმოებებით წარსდგნენ სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მე-4 პლენუმზე, რომელიც მოსკოვში გაიმართა და ახალგაზრდების შემოქმედებას მიეძღვნა.

კონცერტების პროგრამაში შეტანილი იყო ვ. ჯულუხაძის ვოკალური ციკლი, ფ. მავლოხაშვილის კვარტეტი, ა. ბარდანაშვილის საფორტეპიანო კვინტეტი, ა. რაქვიაშვილისა და გ. სიხარულიძის საესტრადო სიმღერები. ეს ნაწარმოებები შეასრულეს ამიერკავკასიის კონკურსის ლაურეატმა თ. ჩაჩავამ, საერთაშორისო კონკურსის ლაურეატმა საქართველოს სახელმწიფო კვარტეტმა, საქართველოს ფილარმონიის სოლისტებმა.

პლენუმზე დიდი სჯა-ბაასი გაიმართა ახალგაზრდების მიღწევებისა და ძიების, იმ წვლილის შესახებ, რომელიც მათ შეაქვთ მრავალეროვნული საბჭოთა მუსიკის საგანძურში. პლენუმის მონაწილეებმა ილაპარაკეს ამოცანებზე, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „შემოქმედებითს ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“.

თანამედროვე საბჭოთა სიმღერის პრობლემებზე ილაპარაკა პლენუმზე კომპოზიტორმა ა. რაქვიაშვილმა.

(ბაქინფორმი).

იღგლიანი გილეთებით

ცაგერი სოფელ ქვედა ცაგერის მცხოვრებმა ა. სილაგაძემ საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1976 წლის მეთორმეტე გამოშვების ლატარიის 34894 სერიის № 471 ბილეთით მოიგო ავტომანქანა „ჟიგული“ — 21011“.

ს. ნაკვეტაძე.

ძარელი. სოფელ ზემოხვედურეთის მცხოვრებმა მერი გაბრიელის ასულმა ასპანიძემ საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1977 წლის პირველი გამოშვების ლატარიის 45277 სერიის № 11 ბილეთით მოიგო ავტომობილი „ჟიგული“ — 21011“.

ვ. კავსაძე.

საჩხერე. სოფელ მომძის მცხოვრებმა ა. ნოზაძემ დოსაფის 1976 წლის მეორე გამოშვების ლატარიის 116207 სერიის № 076 ბილეთით ავტომანქანა „მოსკვიჩი“ მოიგო.

აკ. მაჭარაშვილი.

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს უფროსმა ეკონომისტმა ვ. დალაქიშვილმა საქართველოს ფულისა და ნივთების ლატარიის პირველი გამოშვების 43395 სერიის № 417 ბილეთით მოიგო ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“.

ი. რამიშვილი.

ხანძართან ბრძოლაში

ერთად ჩაეშრეს

ფოთი. შუაღამისას, როცა ქალაქში სრული სიმშვიდე სუფევდა, პიდრომექანიზაციის მანქანათმშენებელი ქარხნის სახერხ საამქროში ცეცხლს ენებმა იელვა. ხანძარი დროულად შენიშნეს ყარაულებმა ხ. ტყებუჩავამ და ვ. კოკაიამ, რომლებმაც სასწრაფო ზომები მიიღეს ხანძრის ჩასაქრობად. სასწრაფოდ მოსულ მეხანძრეებს მხარში ამოუდგნენ ქარხნის მუშაკები ა. ვეფოკინი, შ. ბოროტოვი, ზ. ლაკია, ვ. სილაია და სხვები. ერთობლივი ძალით სტიქიური უბედურება თავიდან აიცილეს.

კ. კომახიძე.

დედასაკვით საყვარელი

ბავშვი სკოლაში შიდის. ოჯახის შემდეგ იგი ხულ სხვა გარემოში ხვდება. ამდენი ბავშვი ერთად! — მოსწავლეები და დედასავით საყვარელი — მასწავლებელი. მაგრამ ხულ მალე, ხშირად ხწავლის დაწყების პირველი დღეებიდანვე, ახინი შინიდან „დედაენით“ ხელში, მართლაცდა მერცხლებივით იხწრაფვიან სკოლისაკენ — მეორე ოჯახისაკენ, სადაც შეგობრებთან ერთად დედისმაგიერს — მასწავლებელს ხვდებიან.

ეს სახეგაბრწყინებული ნორჩები თბილისის მე-14 საშუალო სკოლის მოსწავლეები არიან. ახინი საყვარულით მიესალმებიან დედასავით გულისხმიერ და მზრუნველ მასწავლებელს, დაწყებითი კლასების პედაგოგს ნინელი კობახიძეს.

ბ. სანაია ფოტო.

მარგარიტა ჩხეიძის გასტროლების გამო

მუსიკის მშვენიერ სამყაროში

სრულიად რუსეთის საგასტროლო-საკონცერტო გაერთიანებაში ხშირად მოდის წერილები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან — ბალტიისპირეთიდან, შორეული აღმოსავლეთიდან, უკიდურესი ჩრდილოეთიდან, შუა აზიიდან, სადაც კი კონცერტები გაუმართავს საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, მოცეკვის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატს მარგარიტა ჩხეიძეს. ამ წერილებში გამოთქმულია არა მარტო თხოვნა, რომ პიანისტი კვლავ ეწვიოს მათს ქალაქს, არამედ მადლობა მუსიკის იმ მშვენიერი სამყაროსათვის, რომელშიც მარგარიტა ჩხეიძის ხელოვნებას შეჰყავს მსმენელები.

...იგი დაიბადა თბილისში ინჟინრის ოჯახში. მუსიკალური ნიჭი ძალიან ადრე აღმოჩნდა. მარგარიტას პირველი მასწავლებელი იყო მისი და რუსუდანი — ამჟამად თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დოცენტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. ხუთი წლის მარგარიტამ პირველად შეასრულა ბეთოვენის პოპულარული სონატინა — სოლ მაჟორი.

თბილისის კონსერვატორიასთან შექმნილ ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფში მარგარიტა პროფესორ ანა თულაშვილს ხელმძღვანელობით მეცადინეობდა. ჯერ კიდევ მოწაფე იყო, როცა მონაწილეობდა სიმფონიურ კონცერტებში.

1949 წელს იგი მოსკოვის კონსერვატორიაში შედის და მეცადინეობს სსრ კავშირის სახალხო არტისტის პროფესორ ა. გოლდენვეიზერის კლასში. ბევრჯერ წარმატებით გამოსულა კონსერვატორიის სტუდენტთა კონკურსებზე და ა. გოლდენვეიზერის კლასის საღამოებში. „მარგარიტა ჩხეიძე დაბვეწილი, მომხიბლელი მუსიკოსია“, — ასე ახასიათებდა მას მასწავლებელი. 1955 წელს დაამთავრა კონსერვატორია. ერთი წლის შემდეგ კი მონაწილეობა მიიღო ზალცბურგში გამართულ მოცარტის სახელობის საერთაშორისო კონკურსში და ამ კონკურსის ლაურეატის წოდებაც დაამსახურა. მას შემდეგ დაიწყო პიანისტის საყოველთაო აღიარება და იგი უკვე სისტემატურად მართავს კონცერტებს საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქში.

შარშან მარგარიტა ჩხეიძე საგასტროლოდ გახლდათ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. კონცერტები გამართა ბერლინში, ფრანკფურტში, შვერინში, სადაც სხვადასხვა კომპოზიტორის ნაწარმოებებთან ერთად შეასრულა ბეთოვენის მესამე კონცერტი და სენსანსის მეორე კონცერტი ბერლინის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, რომელსაც დირიჟორობდნენ გერმანელი კურტ ზანდერლინგი და ამერიკელი თომას მაიერი. „უდიდესი სიამოვნება მომანიჭა თქვენთან მუშაობამ, ეს დიდი მეცნიერება ჩემი, როგორც დირიჟორის, ცხოვრებაში“ — ასე წაუწერა თომას მაიერმა ბეთჰოვენის სონატის ხელნაწერს, რომელიც კონცერტის დამთავრების შემდეგ მარგარიტა ჩხეიძეს უსახსოვრა.

და მაინც ყველაზე მეტად მარგარიტა ქართველ მსმენელებთან შეხვედრისას ღელავს. ეს ხომ მისი მშობლიური ქალაქია, ის ხომ აქ დაიბადა, აღიზარდა, აქ აიდგა ფეხი, როგორც პიანისტმა.

მარგარიტა ჩხეიძე კვლავ ეწვია მშობლიურ თბილისს, კვლავ წარსდგა ქართველ მსმენელთა წინაშე ფილარმონიის მცირე დარბაზში. ყველასათვის, ვინც კი მას მოუსმინა, დაუფიწყარი იქნება ეს საღამო. პიანისტი ასრულებდა ბახის ნაწარმოებებს: ფანტაზია — დო მინორი, პატიტა — სი ბემოლ მაჟორი, საორგანო პრელუდია და ფუგა-დო მინორი, საორგანო სახორალო პრელუდია — ფა მინორი, ჩაკონა — დამუშავებული ბუზონის მიერ და იტალიური კონცერტი. საერთოდ, ამ ბოლო წლებში პიანისტი გამოდის მონოგრაფიული პროგრამით — ბეთჰოვენი, შოპენი, შუმანი და აი ახლა — ბახიც. ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე ოსტატობის მწვერვალებს მისწვდა ხელოვანი. ყველა მუსიკოსი როდი ბედავს მთელი საღამოს მანძილზე ერთი კომპოზიტორის ნაწარმოებების დაკვრას. მით უმეტეს, როცა საქმე ბახს ეხება, რომლის მუსიკას სიდიადე ახასიათებს. ბახის სტილი გოთიკურია. მსგავსად იმისა, როგორც გოთიკაში საერთო პლანი ჩანს უბრალო მოტივით, მაგრამ გაქვავებული ხაზებით კი არ ვითარდება, არამედ უმდიდრესი დეტალებით და მხოლოდ მაშინ ახდენს შთაბეჭდილებას, როცა მთელი მისი უფაქიზესი თავისებურებები ნამდვილად ცოცხლდება, — ასევე ბახის მუსიკის შემოქმედება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად და ცოცხლად წარმოადგენს შემსრულებელი მის მთავარ ხაზებსაც და დეტალებსაც. და თუ ამ ორმაგი არქიტექტონიკური დინამიკის ნაცვლად იგი შეიტანს გრძნობის თანამედროვე დინამიკას, როგორსაც ბეთჰოვენის თხზულებებში ვხედავთ, ამით ბახს სრულიად გაუგებარს გახდის, რადგან ერთმანეთთან გააიგივებს დიდ და მცირე ნიუანსებს.

ბახი მუსიკოსი პოეტია. პოეზია მუსიკაში — აი რა არის ზოგადად ბახის მთელი მუსიკის აზრი. და სწორედ აქ უახლოვდება მარგარიტა ჩხეიძის, როგორც პიანისტის, ბუნება ბახისას, რომელიც ესოდენ ახლოელი აღმოჩნდა მისთვის. უბრალოება, რაც ძირითადია ბახის ნაწარმოებების შესრულებაში, დამახასიათებელია პიანისტისთვისაც. მისი თხზულებების გაგება, კომპოზიტორის ღრმა ფილოსოფიერ აზრებში ჩაწვდომა, და ამ რთული აზრების უბრალოდ, მარტივად, გასაგებად გადმოცემა — ეს უკვე დაოსტატებული, ცხოვრებით გაბრძნილი ხელოვანის ხვედრია. და მარგარიტა ჩხეიძეც ამ საღამოს წარმოგვიდგა როგორც ბახის ნაწარმოებების საუკეთესო ინტერპრეტატორი. მისი შესრულებით აზრი და გრძნობა ერთიანობის, სრულყოფილობის შთაბეჭდილებას ქმნიდა. რა დიდი უნდა იყოს მხატვრული ზემოქმედება, რომ „აღადგინო“ მუსიკის პირველქმნილი სახე, დაიჯერო, რომ ავტორს სწორედ ასე ჰქონდა ჩაფიქრებული ყველაფერი. დიახ, სწორედ ასეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა იმ საღამოს, როცა სცენაზე მარგარიტა ჩხეიძე უკრავდა.

კონცერტი დამთავრდა. მაღლიერი დარბაზი დიდხანს უკრავდა ტაშს პიანისტს...

თბილისიდან მარგარიტა ჩხეიძე ისევ მიემგზავრება საგასტროლოდ ნვეინ ქვეყნის სხვა ქალაქებში, სადაც სოლო კონცერტებს გამართავს და კვლავ დაატკბობს მსმენელს თავისი დიდი და წარმტაცი ხელოვნებით. მისი საკონცერტო საქმიანობა ხომ ჩვენი საბჭოთა მრავალეროვნული კულტურის ერთგული სამსახურის მაგალითია. მას ნამდვილი მუსიკის შეგრძნების დიდი სიხარული მიაქვს ყველგან, სადაც კი გამოდის, ლენინგრადი, მოსკოვი იქნება ეს, თუ ნოვოროსიისკი და ტიუმენი, კურგანი თუ ტაშკენტი.

ლია გოგიშვილი.

ინფორმაციული

ბრძოლა ბოლოს

ბაკო. ბაკოს ფეხბურთელებმა ბოლოს ბრძოლა ბოლოს ბრძოლა ბოლოს ბრძოლ